ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა საბანისძის ქ.№ 8

კრების ოქმი № 2

10/11 2026 წ

ქ. თბილისი

შედგა ილიას საბანისძის ქ.№ 8 მდებარე საცხოვრებელი სახლის
(მისამართი)

ინდივიდუალური ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო კრება.

კრებას ესწრებოდა ამხანაგობის წევრთა : 100% ჩართული

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარე : შალვა ქუცნელი

კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა: შალვა ქუცნელი 01013025246

კრების მდივნად არჩეულ იქნა : _____

დღის წესრიგი:

ამხანაგობის წევრის აქაიაკ გაბრიელიანი 01012501042 1 მიერ 2007 წლის 01 იანვრამდე
უნებართვოდ ამოშენებული 10.10 კვ.მ ფართის ლეგალიზების საკითხი.

მოისმინეს:

კრების თავმჯდომარის ინფორმაცია ამხანაგობის წევრის აქაიაკ გაბრიელიანი
01012501042 1
მიერ 2007 წლის 01 იანვრამდე უნებართვოდ ამოშენებული 10.10 კვ.მ ფართის
ლეგალიზების საკითხი.

აზრი გამოთქვეს : ამხანაგობის წევრებმა 100%-ით

დაადგინეს : კრებამ ხმათა 100 %-ით დაადგინა, რომ მოქალაქე
აქაიაკ გაბრიელიანი 01012501042 1 მოახდინოს 2007 წლის 01 იანვრამდე უნებართვოდ
ამოშენებული 10.10 კვ.მ ფართის ლეგალიზება.

კრების თავმჯდომარე: შალვა ქუცნელი | შალვა ქუცნელი |

კრების მდივანი:

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N261587011
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	10.11.2026 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ქეთევან მამუკაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი #25
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2771300; 2779499
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	84185028304726

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ოცდაექვსი წლის ათ ნოემბერს მე, ნოტარიუს ქეთევან მამუკაშვილს რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი №25, მომმართა შალვა მეტრეველმა. მან წარმოადგინა **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა "საბანისძის №8- ის კრების ოქმი №2** და მოითხოვა მასზე ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, მოქალაქის პირადობის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად შალვა მეტრეველმა (დაბ. 14.09.1985წ. **პირადი № 01013025246** მისამართი: **თბილისი იოანე საბანიძის ქ. N 8**) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამჩენია. განვუმარტე ის, რომ: თანახმად *ინსტრუქციის „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" მე-15 მუხლის მე-6 პუნქტისა, გარიგებაზე ან სხვა დოკუმენტზე ხელმოწერების დამოწმებისას, ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს მხოლოდ მხარეთა (წარმომადგენელთა) პირადობა, ქმედუნარიანობა და დაამოწმოს ხელმომწერ პირთა ხელმოწერების ნამდვილობა.»* ხელმომწერმა წაიკითხა ტექსტი, განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი.

დამოწმებულია **ერთი ხელმოწერა ერთ გვერდზე ერთ** ეგზემპლარად.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური **6.00 ლარი**, აგრეთვე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური **5.00 ლარი**, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე და 39-ე მუხლებისა, აგრეთვე დღგ **1.08 ლარი**, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა. სულ გადახდილია **12 ლარი** და 08 თეთრი.

ნოტარიუსი